

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია



DEDOPLISTSKARO TOURISM DEVELOPMENT ASSOCIATION

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია



DEDOPLISTSKARO TOURISM DEVELOPMENT ASSOCIATION

created by ENPARD

ინფორმაცია  
დედოფლისწყაროს ტურიზმის  
განვითარების ასოციაციის მიერ  
განვლილ 2 წელიწადში  
გაწეული მუშაობის შესახებ

მომხსენებელი მანანა ყატაშვილი -  
ასოციაციის თავმჯდომარე



created by ENPARD

# ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია“ დაფუძნდა 2019 წლის 27 მაისს

საიდენტიფიკაციო კოდი 428522137

# ასოციაციის საქმიანობის მიზნები:

- ▶ ტურიზმის მდგრადი განვითარება რეგიონში;
- ▶ ტურისტული ინფრასტრუქტურის და პროდუქტის განვითარება, მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- ▶ დაცულ ტერიტორიებთან თანამშრომლობა;
- ▶ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ტურიზმისა და გარემოს დაცვით საკითხებზე;
- ▶ ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

ასოციაციის წევრები არიან დედოფლისწყაროელი:

- საინფორმაციო და სხვა მომსახურების სერვისების მფლობელები
- სასტუმროების მფლობელები
- გიდები
- ტრანსპორტის მფლობელები
- კვების ობიექტების
- ტურისტული აღჭურვილობის გაქირავების
- სხვა ტურისტული სერვისების წარმომადგენლები.

ასოციაციაში გაწევრიანება ტურიზმის სფეროში ჩართულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, ვინც გამგეობას მიმართავს განცხადებით და იხდის ყოველწლიურ საწევროს.

შემუშავდა დედოფლისწყაროს ტურიზმის  
განვითარების ღონისძიებების გეგმა,  
რომელიც 2019 წელსვე წარვადგინეთ  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის  
ადგილობრივ თვითმმართველობაში,  
ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და  
სხვა შესაბამის უწყებებში..

ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის  
ფარგლებში HEKS-EPER Georgia -ს და  
ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია  
„ელკანას“ მხარდაჭერით და ფინანსური  
დახმარებით ასოციაციას აქვს  
დედოფლისწყაროს ტურიზმის  
საინფორმაციო პორტალი [www.dtda.ge](http://www.dtda.ge)  
და გვერდი სოციალურ ქსელში FACEBOOK

# ასოციაციის საქმიანობის მიზნები და ღონისძიებები

რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარების და ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით 2020 წლის 25 აგვისტოს მუნიციპალიტეტის მერიას ხელახლა წარვუდგინეთ ჩვენი წევრების მიერ ჯერ კიდევ 2019 წელს დასახული ინფრასტრუქტურის განსავითარებელი ღონისძიებების გეგმა.

- ▶ შეხსენების მიუხედავად, წერილზე მერიის პასუხი არ მიგვიღია.
- ▶ დედოფლისწყაროს 2021 წლის ბიუჯეტში (აპრილის შესწორებული ვერსიით) ტურიზმის განვითარების მიზნით გამოყოფილი თანხა არ ჩანს.
- ▶ დედოფლისწყაროს მერიის მიერ გამოქვეყნებულ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების გეგმაში გათვალისწინებული იყო ღონისძიებები ტურიზმის მიმართულებით, მაგრამ პრაქტიკულად, არაფერი გაკეთდა.



# ასოციაციის საქმიანობის მიზნები და ღონისძიებები

ადგილობრივი ტურისტული ბიზნესების დაცულ  
ტერიტორიებთან თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით  
დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ  
ორგანიზებული იყო ტრენინგები ბიზნესებისთვის  
ეკოტურიზმის მიმართულებით, რომელსაც ევროპის  
აკადემიური ცენტრის სპეციალისტები ატარებდნენ.

- ▶ ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო ვაშლოვანის დაცული  
ტერიტორიების გვერდზეც და ნინო სეთურიძის მიერ  
გამოქვეყნდა ჩვენს ჯგუფშიც. სამწუხაროდ, დაბალი იყო  
ჩვენი წევრების აქტივობა.

# ასოციაციის საქმიანობის მიზნები და ღონისძიებები

მიზანი: მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ტურიზმისა და გარემოს დაცვით საკითხებზე;

ღონისძიებები:

1. 2020 წელს ქალთა ფონდში წარვადგინეთ ასოციაციის პროექტი: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვა ქალთა ჩართულობით.

2. 2021 წელს CTC-ში წარვადგინეთ პროექტი: „გადავარჩინოთ ქოჩების ტბა“ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტურიზმის, სპორტისა და რეკრეაციული ადგილების განვითარების მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

სამწუხაროდ, ასოციაციამ დაფინანსება ვერ მიიღო.

# ასოციაციის საქმიანობის მიზნები და ღონისძიებები

მიზანი: ტურისტული ინფრასტრუქტურის და პროდუქტის განვითარება, მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

ღონისძიებები:

- ▶ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტში წარვადგინეთ პროექტი: „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის - როგორც ტურისტული დესტინაციის -პოპულარიზაცია“
  - ▶ 2020 წლის იანვარში ვმონაწილეობდით ჰაკათონში პროექტით: „სწრაფად გაიცანი დედოფლისწყარო! ვებ აპლიკაცია EDEDO“
- სამწუხაროდ, ასოციაციამ დაფინანსება ვერ მიიღო.

# ასოციაციის საქმიანობის მიზნები და ღონისძიებები

მიზანი: ტურიზმის მდგრადი განვითარება რეგიონში;  
ღონისძიებები:

- ▶ 2020 წლის განმავლობაში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ტარდებოდა ონლაინ-ტრენინგები COVID19 -ის პრევენციის რეგულაციებზე სხვადასხვა ტიპის ტურისტული ბიზნესებისთვის. ამის შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს FACEBOOK გვერდზე.
- ▶ 2021 წლის აპრილში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ ტრენინგი შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი ურთიერთობების პრევენციული ღონისძიებების მართვა covid19 -ის პერიოდში”;

- ▶ 2020 წლის თებერვალში ვუმასპინძლეთ ესტონეთის სოფლის ტურიზმის ასოციაციის პრეზიდენტს ქალბატონ რაილი მენგელს: მას გავაცანიოთ რაიონის ტურისტული რესურსების ნაწილი.
- ▶ წევრებისთვის ჩატარდა სემინარი „ტურიზმის ასოციაციები რეგიონებში: შესაძლებლობების განვითარება და ქსელური მუშაობა“
- ▶ ესტონელებთან ჩატარდა ონლაინ-ინტერვიუები დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის სტრატეგიული დოკუმენტების შესამუშავებლად.
- ▶ 2020 წელს ესტონეთის სოფლის ტურიზმის ასოციაციასთან თანამშრომლობით და ENPARD-ის ფინანსური დახმარებით შემუშავდა და გამოქვეყნდა დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის სტრატეგიული დოკუმენტები. ამ დოკუმენტების წევრებისთვის გაცნობა მოეწყო 2020 წლის ოქტომბერში. დოკუმენტების პროექტები გაიგზავნა წევრების მეილებზე.

- ასოციაციაში ამჟამად 29 წევრია .
- წესდების მიხედვით, გასაწევრიანებლად საჭიროა წერილობითი განცხადება, თანხმობა ყოველწლიური საწევროს გადახდაზე და ობიექტის/სერვისის შესახებ ინფორმაციის მოწოდება.
- გამგეობა აგროვებს ასოციაციის წევრების ბიზნესებზე განახლებულ ინფორმაციას საიტზე გამოსაქვეყნებლად.

# ასოციაცია განვილილ პერიოდში ატარებდა:

- ▶ საერთო კრებებს წესდების შესაბამისად
- ▶ ონლაინ-შეხვედრებს
- ▶ ინფო ტურებს ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებისთვის

ფინანსები:

შემოსავლები-საწევრო ანარიცხები

**ხარჯები:**

ჩვენი საიტის [www.dtda.ge](http://www.dtda.ge) დომეინის და  
ჰოსტინგის საფასური



# მადლობა ყურადღებისთვის!



created by ENPARD